



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N7**

ქ. ლანჩხუთი

20. 03. 2018 წელი

**საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.**

**მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N159 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთი „ტექ-სერვისისა“ /ს/ნ 433642490/ და ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისის“ /ს/ნ 433642677/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში 2018 წლის დარჩენილ პერიოდისათვის ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს /ს/ნ 433649322/ დაფინანსება განისაზღვროს 901449 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 5 მარტის N158 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ /ს/ნ 433642178/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433642203/; ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ /ს/ნ 433645004/ რეორგანიზაციის შერწყმის (გაერთიანების) შედეგად შეიქმნა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი,“ /ს/ნ 433642178/. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში

წლის დარჩენილ პერიოდისათვის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს დაფინანსება განისაზღვროს 494872 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე წლის 14 მარტის N187 ბრძანების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ს/ნ 233731478, რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა ორი საწარმო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო-სამუსიკო სკოლათა გაერთიანება და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება, მაგრამ რეორგანიზაციის პროცესი არ არის დასრულებული. ამჟამად მიმდინარეობს დამატებითი მოლაპარაკებები ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურთან, რადგან საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გარკვეული დეტალიზაცია.

საკრებულოს წევრმა, **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ისინი გაეცნენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის“ ხელმძღვანელის წერილს, რომლითაც დასაბუთებულად ითხოვდა, რომ კლუბი, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, უნდა არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი ა(ა)იპ. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის ყველა წევრმა გაიზიარა ეს მოსაზრება. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული კლუბი თუ უნდა არსებობდეს როგორც ცალკე ა(ა)იპ, მაშინ რატომ ხდება ჯერ გაერთიანება და შემდეგ სავარაუდოდ ისევ განცალკევება. საუბარია ფინანსების შეერთებაზე. მისი თქმით, ის თანხა, რომელიც გუნდს დაჭირდება და უნდა ქონდეს ცალკე, აქ არ შედის.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, ამ ეტაპზე ხდება სკოლების გაერთიანება. როგორც საფეხბურთო კლუბი, ის ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ფინანსები ვერ იქნება გათვალისწინებული, რადგან ნორმატიული აქტი უკვე მიღებულია, რომლის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ხდება გაერთიანება ერთ საფინანსო უჯრედში. აქედან გამომდინარე, სამომავლოდ, კლუბის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების პროცესი სხვა ფინანსურ ურთიერთობებთან იქნება დაკავშირებული.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, იანვარის თვეში საკრებულომ მხარი დაუჭირა ა(ა)იპ - ების რეორგანიზაციას. საუბარია სკოლების გაერთიანებაზე. იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ კლუბი გაკეთდეს როგორც დამოუკიდებელი ა(ა)იპ-ი, ანუ ა(ა)იპ -ის სახით იქნება წარმოდგენილი კლუბი და არა სკოლა, მაშინ მოხდება მისი ცალკე გამოყოფა, რომლის წინააღმდეგაც მუნიციპალიტეტის მერი ნამდვილად არ იქნება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ თავის დროზე ყველამ ერთად მხარი დაუჭირა ა(ა)იპ-ების გაერთიანებას, რადგან მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ ეს სკოლები მოქცეულიყო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, რა ხელისშემშლელი პირობები შეიქმნა ამ გაერთიანების შედეგად კლუბს, დაკავშირებულია ეს მის ფუნქციონირებასთან თუ რაიმე სხვა შეზღუდვები გამოიწვია.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, პირველ რიგში კლუბს ხელი ეშლება სპონსორის მოძიებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.

მომხრე 21 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 2 დეპუტატმა (კახაბერ ასკურავა, იოსებ ჩხაიძე).

მიღებულ იქნა დადგენილება N14 (20.03.2018)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

